



20

12 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა გრანტი ევროკომისიის გაცვლითი პროგრამის მეორე აქტივობაში Erasmus Mundus Action 2 –Strand 1/Strand 2.

EMINENCE I, ხოლო, 2013 წელს მეორე საგრანტო პროექტი EMINENCE II.

საგრანტო პროექტის სახელწოდებაა „აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების ინტეგრაცია უმაღლესი განათლების ხელშეწყობით”

2013 წლიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროკომისიის პროგრამა Erasmus Mundus Action 2–Strand 1/Strand 2-ის ფარგლებში განახორციელებს დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის, ახალგაზრდა მკვლევრების, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ევროპის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

პროგრამის მეორე აქტივობა Erasmus Mundus Action 2 ითვალისწინებს აღმოსავლეთის სამეზობლო რეგიონიდან ყველა საფეხურის სტუდენტების, (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის), პოსტ-დოქტორანტების, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის (ტრენინგი, სწავლება, კვლევა) მობილობას ევროპის უმაღლეს დაწესებულებებში.

პროგრამის მიზანია უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გამყარება ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას პროგრამის ფარგლებში, რაც მისცემს მათ საშუალებას, აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურული და საგანმანათლებლო გამოცდილება.

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტებია:

1. ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი /კოორდინატორი/

2. მონპელიეს უნივერსიტეტი 2, საფრანგეთი

3. პორტოს უნივერსიტეტი, პორტუგალია

4. ტორინოს ტექნიკური უნივერსიტეტი, იტალია

5. მალმოს უნივერსიტეტი, შვედეთი

6. როვირა ი ვირგილის უნივერსიტეტი, ესპანეთი

7. ბაბემ ბოლიაის უნივერსიტეტი, რუმინეთი

თანა-კოორდინატორი - პავლო ტიჩინას სახელობის უმანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა

პროექტში მონაწილე აღმოსავლეთის სამეზობლო ქვეყნების უნივერსიტეტებია:

1. ბარანოვიჩის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბელარუსი
2. ა. კულეშოვის სახელობის მოგილოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბელარუსი
3. განათლების ინსტიტუტი „პოლესკის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბელარუსი
4. პ.მ. მაშეროვის სახელობის ვიტებსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბელარუსი
5. სუმის უნივერსიტეტი, უკრაინა
6. მოლდოვის სავაჭრო კოოპერაციის უნივერსიტეტი
7. ფარმაციისა და მედიცინის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოლდოვა
8. ვანაძორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სომხეთი
9. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
10. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
11. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
12. აზერბაიჯანის მასწავლებელთა ინსტიტუტი, აზერბაიჯანი
13. აზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი

ასოცირებული პარტნიორებია:

1. ბელარუსის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, ბელარუსი
2. უკრაინის განათლების, მეცნიერების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, უკრაინა
3. მოლდოვის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, მოლდოვა
4. სომხეთის რესპუბლიკის განათლების და მეცნიერების სამინისტრო, სომხეთი
5. აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო, აზერბაიჯანი
6. საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი, საქართველო“
7. ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი / სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტი, საქართველო
8. ასოციაცია- დემოკრატიისათვის ბელარუსში, ბელარუსი/პოლონეთი
9. სანტანდერის უნივერსიტეტების ჯგუფი, ბელგია

პროექტის ხანგრძლივობა - 6 წელი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის კოორდინატორია, ენების ცენტრის შესწავლის უფროსი, ფილოლოგიის დოქტორი, მაია დარასელია.

პროექტის, პოსტ-მუნდუსის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის წევრი, ასოც.პროფესორი, რომეო გალდავა.

პროექტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გადადით შემდეგ ბმულებზე:

EMINENCE I: <http://www.mundus.amu.edu.pl/EMINENCE/index.php>

EMINENCE II: <http://mundus.amu.edu.pl/EMINENCEII/>